საქართველოს მთავრობის

დადგენილება №34

2019 წლის 8 თებერვალი

ქ. თბილისი

„სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ან/და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების შესაძენად, უსასყიდლოდ გადმოცემული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის უცხოეთიდან ტრანსპორტირებისა და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის წესისა და საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 23 ივნისის №119 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ან/და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების შესაძენად, უსასყიდლოდ გადმოცემული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის უცხოეთიდან ტრანსპორტირებისა და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის წესისა და საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 23 ივნისის №119 დადგენილებაში (სსმ, 78, 26/06/2009) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. „სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ან/და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების შესაძენად, უსასყიდლოდ გადმოცემული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის უცხოეთიდან ტრანსპორტირებისა და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის წესის“:

ა) მე-3 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გრანტის გაცემას ახორციელებს სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი).“;

ა.ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ფონდის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს დასაფინანსებლად შერჩეულ საგრანტო პროექტებს.“;

ბ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაფინანსების მოსაპოვებლად საგრანტო განაცხადის წარდგენა შეუძლიათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანი არის სამეცნიერო კვლევების განხორციელება და ასევე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.“;

გ) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საგრანტო განაცხადები შეფასდება ამ დადგენილების №2 დანართით გათვალისწინებული საგრანტო განაცხადების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (მაქსიმალური შეფასება – 30 ქულა).“.

2. დანართი №2 – „სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ან/და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების შესაძენად, უსასყიდლოდ გადმოცემული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის

უცხოეთიდან ტრანსპორტირებისა და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის მიზნით საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები“ ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

„დანართი №2

სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ან/და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების შესაძენად, უსასყიდლოდ გადმოცემული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის უცხოეთიდან ტრანსპორტირებისა და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის მიზნით საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

პროექტების შეფასების კრიტერიუმებია:

№	კრიტერიუმი	კოეფიციენტი	ქულა 1 (C), 2 (B), 3 (A)
1	პროექტის შესაბამისობა/მნიშვნელობა ორგანიზაციის პროფილსა და მიმდინარე/დაგეგმილ სამეცნიერო-კვლევით პროექტებთან	3	
2	მომსახურებისა და განახლების გეგმა	3	
3	აპარატურის/ კომპიუტერული პროგრამის ხელმისაწვდომობის გეგმა/აღწერა	2	
4	ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობა/ტრენინგის კომპონენტი	2	
	საბოლოო ქულა: (მინიმალური – 10, მაქსიმალური – 30)		
	შემაჯამებელი კომენტარი:		

შეფასების თითოეული კრიტერიუმი ფასდება 3-ქულიანი სისტემით (1-3), სადაც 1 ქულა შეესაბამება C კატეგორიის შეფასებას, 2 ქულა შეესაბამება B კატეგორიის შეფასებას, ხოლო 3 ქულა შეესაბამება A კატეგორიის შეფასებას. ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 30 ქულა.

კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგი სახით:

შეფასება ქულით	შეფასება ABC კატეგორიით	შეფასება	განმარტება
1	C	სუსტი	პროექტი არ პასუხობს/არაადეკვატურად (მცირედ) პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო, შეინიშნება სერიოზული, არსებითი სუსტი მხარეები

2	B	საშუალო	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები, დასაბუთება არასაკმარისია
3	A	კარგი	პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს, არის ორიგინალური და აქვს მაღალი სამეცნიერო პოტენციალი.

დაფინანსებისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა მაქსიმალური 30 ქულიდან 20 ქულის მიღება.“.